სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
120.040.000.11.117.005.640

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №439

2002 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №615-სსმIII, №117, 28.09.2009წ.; მუხ. 1340

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №39 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების“ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის “ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №615-სსმIII, №117, 28.09.2009წ.; მუხ. 1340

1. დამტკიცდეს „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქცია თანდართული რედაქციით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №615-სსმIII, №117, 28.09.2009წ.; მუხ. 1340

2. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს 2003 წლის 1 იანვრიდან.

მინისტრი მირიან გოგიაშვილი

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 18 მაისის ბრძანება №458-სსმIII, №70, 25.05.2006წ.; მუხ. 879
2. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №615-სსმIII, №117, 28.09.2009წ.; მუხ. 1340
3. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 25 მარტის ბრძანება №174 - ვებგვერდი, 29.03.2011წ.

ინსტრუქცია

ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ

მუხლი 1

1. ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთა (შემდომში – ცვეთა) განისაზღვრება ამ ინსტრუქციით მოცემული ნორმების შესაბამისად და ყოველწლიურად აისახება ბუღალტრულ აღრიცხვასა და ანგარიშგებაში.

2. ცვეთის დარიცხვა იმ ძირითად აქტივებზე, რომლებიც მოცემული არ არის დამტკიცებულ ერთიან ნორმებში, წარმოებს ერთგვაროვან (ანალოგიურ) ძირითად აქტივებზე არსებული ცვეთის ნორმების შესაბამისად.

3. ცვეთის ერთგვაროვანი ნორმების გამოყენების შეუძლებლობისა და ძირითადი აქტივების ახალი ტიპების შექმნის შემთხვევაში, ორგანიზაციები შეიმუშავებენ ცვეთის ნორმების შესაბამის პროექტებს და დასამტკიცებლად წარუდგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

4. თუ ძირითადი აქტივის შემადგენელ ნაწილებს გააჩნიათ განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება სხვადასხვა დროს, ცვეთის დარიცხვის მიზნებისათვის საჭიროა მათი ცალ-ცალკე აღრიცხვა (თუ აკმაყოფილებენ ძირითად აქტივებად აღიარების კრიტერიუმებს), გაწეული საერთო დანახარჯების განაწილება მის შემადგენელ ნაწილებზე და ცვეთის დარიცხვის განსხვავებული ნორმების გამოყენება.

მუხლი 2

ცვეთა არ ერიცხება კულტივირებულ აქტივებს (მუშა პირუტყვისა და საექსპლუატაციო ასაკის მრავალწლიანი ნარგავების გარდა), დაუმთავრებელ მშენებლობას და საბიბლიოთეკო ფონდებს.

მუხლი 3

ძირითად აქტივებს, მიუხედავად იმისა, საანგარიშო წლის რომელ თვეშია ისინი შეძენილი ან წარმოებული, ცვეთა ერიცხება წლის ბოლოს სრული კალენდარული წლისათვის და გამოიანგარიშება მათი საწყისი (ისტორიული) ღირებულების გამრავლებით წინამდებარე ინსტრუქციით გათვალისწინებულ წლიურ ნორმაზე (ამ თანხას არსებითი/მნიშვნელოვანი გაუმჯობესების ან გადაფასების შემთხვევაში დაემატება ახლად მიღებულ ღირებულებაზე დარიცხული ცვეთის თანხა).

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 25 მარტის ბრძანება №174 - ვებგვერდი, 29.03.2011წ.

მუხლი 4

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საანგარიშო წლის ბოლოს ძირითადი აქტივის ფიზიკური ცვეთა აღიარდება ხარჯად და აისახება ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ანგარიშის დებეტსა და ძირითადი აქტივების შესაბამისი ანგარიშის კრედიტში.

მუხლი 5

1. ანალიზური აღრიცხვისთვის, ყოველწლიურად დარიცხული ცვეთის თანხის ჩაწერა წარმოებს ძირითადი აქტივების აღრიცხვის საინვენტარო ბარათებში (დავთრებში) ან ელექტრონულ სისტემებში.

2. ცალკეული საინვენტარო ობიექტების მიხედვით ექსპლუატაციის მთელ პერიოდში დარიცხული ცვეთის თანხა განისაზღვრება აუცილებლობის დროს ობიექტის ლიკვიდაციის, სხვა ორგანიზაციაზე გადაცემის ან გაყიდვის შემთხვევაში.

3. ობიექტის ექსპლუატაციის მთელი პერიოდის ცვეთის თანხა, გადაცემის წლის ჩაუთვლელად, გამოიანგარიშება ძირითადი აქტივის საწყისი (ისტორიული) ღირებულებისა და ორგანიზაციაში ყოფნის კალენდარული წლების რაოდენობის ცვეთის ნორმაზე გამრავლებით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 25 მარტის ბრძანება №174 - ვებგვერდი, 29.03.2011წ.

მუხლი 6

სრულად გაცვეთილი (ამორტიზებული) ძირითადი აქტივები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოწერამდე აღირიცხება ,,ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით დამტკიცებული ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმა – ორგანიზაციის ბალანსის (ფორმა №1) საცნობარო მუხლის – ამორტიზებული ძირითადი აქტივების – 08 ანგარიშზე, საწყისი (ისტორიული) და არსებითი/მნიშვნელოვანი გაუმჯობესების (გადაფასების) შედეგად განსაზღვრული ღირებულებების მითითებით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 25 მარტის ბრძანება №174 - ვებგვერდი, 29.03.2011წ.

მუხლი 7

ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებში გამოიყენება ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმები დანართი №1-ის მიხედვით.

შიფრი	ძირითადი აქტივების სახეები და ჯგუფები	ცვეთის წლიური ნორმა %
	01 შენობები	
	საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების შენობები	
1000	მრავალსართულიანი შენობები (ორსართულიანზე მეტი), სპეციალური ტექნოლოგიური დანიშნულების შენობების გარდა; ერთსართულიანი შენობები რკინაბეტონის და ლითონის კარკასით, ქვის მასალის კედლებით, მსხვილი ბლოკებითა და პანელებით, რკინაბეტონის, ლითონის და სხვა გამძლე სახურავებით	1,0
1001	ყველანაირი დანიშნულების ორსართულიანი შენობები (ხის შენობების გარდა)	1,2
1002	სპეციალური ტექნოლოგიური დანიშნულების მრავალსართულიანი შენობები; ერთსართულიანი შენობები კარკასის გარეშე ქვის მასალის კედლებით, მსხვილი ბლოკებითა და პანელებით, რკინაბეტონის, ლითონის, ხის და სხვა გადასახურავებით და დახურვები	1,7
1003	ხის შენობები ძელაკების ან მორის კედლებით, ერთი და მეტსართულიანი	2,5
1004	ფენოვანი მასალებისაგან (ჰაერგაუმტარი, პნევმო-კარკასული და სხვ.) დამზადებული შენობები, შენობები დასაშლელ-ასაწყობი კონტეინერული შესრულებით, ხის, კარკასული, კარკასულ-პანელოვანი და პანელოვანი, ფიცრული და სხვა მსუბუქი შენობები	10,0
1005	შენობები კარკასულ-პანელოვანი და პანელოვანი შესრულებით ლითონისა და ხის კარკასის კონსტრუქციებით	5,0
	გადასატანი შენობები	
1006	მთლიანად ლითონის	10,0
1007	ხე-ლითონის	12,5
1008	ლითონკონსტრუქციების, მინაპლასტის, დაპრესილი ფილებისა და ხისაგან დამზადებული ჯიხურები, ფარდულები, კაფეები, პავილიონები, სასადილოები	11,0
1009	მარცვლეულის, ხილისა და ბოსტნეულის საცავები	3,0
	საცხოვრებელი შენობები	
1010	შენობები ქვის, განსაკუთრებით კაპიტალური, აგურის კედლებით (2,5-3,5 აგურის სისქის); აგურის შენობები რკინაბეტონის ან ლითონის კარკასით, რკინაბეტონის ან ბეტონის გადასახურავებით	0,7
1011	შენობები აგურის კედლებით (1,5–2,5 აგურის სისქის), რკინაბეტონის, ბეტონის ან ხის გადასახურავებით; დიდი ბლოკების კედლებით, რკინაბეტონის გადასახურავებით	0,8
1012	შენობები მსუბუქი წყობის აგურის, მონოლითური პემზა ბეტონის, მსუბუქი პემზაბლოკის, ნიჟარქვის კედლებით, რკინაბეტონის ან ბეტონის გადასახურავებით	1,0
1013	შენობები მსხვილპანელოვანი კედლებით, რკინაბეტონის გადასახურავით	0,7
1014	შენობები დიდი ბლოკების ან მსუბუქი წყობის აგურის კედლებით, მონოლითური პემზაბეტონის, წვრილი პემზაბლოკების, ხის გადასახურავებით	1,0
02 ნაგებობები		
	ჰიდროტექნიკური ნაგებობები	
2000	ბეტონის და რკინაბეტონის თხევადკედლებიანი წყალსაშვებები, სალექარები, ღარები და სხვა წყალსადენი ნაგებობები	1,0
2001	დაწნევის მილგაყვანილობები და მათანაბრებელი რეზერვუარები	1,0
2002	დერივაციული არხები, ჰიდროელექტროსადგურების აუზები	1,0
2003	რკინაბეტონის, ბეტონის და ქვის ნაპირსამაგრებელი და ნაპირდამცავი ნაგებობები	3,3

2004	ყველა სახის მარეგულირებელი (გამმართველი) ნაგებობანი, საქვაბე	10,0
2005	წყალსაცავები მიწის კაშხალებზე	1,3
2006	ბეტონისა და რკინაბეტონის წყალსაგდებები და წყალსაშვებები ტბორებზე	2,0
2007	მიწით შემოკავებული მოუპირკეთებელი ჯებირები	1,0
	სარწყავი ქსელი	
2008	მოუპირკეთებელი მიწის არხები, მოპირკეთებული არხები (ქვებით, ბეტონით და რკინაბეტონით)	2,0
2009	არხები რკინაბეტონის ღარებისაგან	4,0
2010	არხები აზბესტცემენტის, ფოლადის და პოლიეთილენის მილებისაგან	2,5
2011	დახურული კოლექტორულ-სადრენაჟო ქსელი	2,5
2012	სასოფლო-სამეურნეო მიწების დასაშრობი დრენაჟები	2,0
2013	საზღვაო და სამდინარო მისადგომები ბეტონის მასივებისაგან	1,7
2014	მიწის კაშხალები, ჯებირები (ტბორების კაშხალების გარდა) და სამდინარო გადასაღობი ნაგებობანი	1,3
	სატრანსპორტო მეურნეობისა და კავშირგამბულობის ნაგებობანი	
2015	ყველა სახეობისა და კონსტრუქციის ხიდები (გარდა ხისა და ლითონისა ხის ბურჯებზე)	1,0
2016	ხისა და ლითონის ხიდები ხის ბურჯებზე	5,0
2017	ფიცარნაგი ხიდები	20,0
2018	დამაკავებელი და დამცავი ნაგებობანი – ქვის, ბეტონის და რკინაბეტონის (მეწყერსაწინააღმდეგო, ზვავსაწინააღმდეგო, ჩამონგრევის საწინააღმდეგო საყრდენები, დამჭერი კედლები და სხვა)	1,7
2019	რკინიგზის ღია ბაქნები და სატვირთო მოედნები, რკინაბეტონის და ქვის	2,0
2020	ბეტონის, რკინაბეტონის და ქვის ესტაკადები, ამაღლებული გზები	2,5
2021	საწარმოთა მისასვლელი და სხვა სარკინიგზო გზები	1,5
2022	ვიწროლიანდაგიანი სარკინიგზო გზები	6,7
2023	ასაფრენ-დასაჯდომი ზოლი, ასაფრენი ბილიკი, თვითმფრინავების სადგომი ადგილები, პერონის მოედნები	4,0
2024	ავტოსადგომი	4,0
	საავტომობილო გზები, დახურული მოედნები და აეროდრომები	
2025	ცემენტბეტონის	2,0
2026	ასფალტბეტონის	3,2
2027	ღორღის და ხრეშის	5,2
	ქალაქის გზები	
2028	ბეტონის	3,8
2029	ასფალტის	5,5
2030	ბითუმმინერალური შენარევებისაგან, შავი ღორღის და შავი ხრეშის	7,5
2031	მოზაიკური ქვაფენილები ბეტონის ან ქვის საძირკველზე	3,0
2032	ტროტუარი	7,5
2033	საცალფეხო და საველოსიპედო ბილიკები	7,5
2034	დახურული წყალსადინარები (წყალმიმღები და სათვარიელებელი ჭები)	3,4
2035	რკინაბეტონის კოლექტორები, რკინაბეტონის ჭები და რკალები	2,0
2036	საავტომობილო გზების სადრენაჟო, წყალსარინი და გამამაგრებელი ნაგებობანი	3,6
2037	გადასასვლელები	4,2
2038	საცალფეხო ხიდები და გვირაბები	1,2
2039	სატელეფონო კანალიზაცია (ბეტონის და აზბესტ-ცემენტის)	2,0
2040	მიმღები და გადამცემი ანტენები	6,7
2041	რადიოსარელეო ხაზების ანტენები, სამიმართულო მოქმედების უნიკალური ანტენები	5,0
2042	სატელევიზიო და სამაუწყებლო ანტენები	10,0
2043	სრული ბრუნვითი და თანამგზავრული კავშირგაბმულობის ანტენები	8,3
2044	რადიოკოშკები რკინის, აგურის და რკინაბეტონის	1,7

2045	რკინის რადიო ანძები და ანძა-ანტენები	2,0
	სხვა ნაგებობანი	
2046	სანაპირო გემთამწე ნაგებობანი	2,5
2047	მეთანტენები (ჰიდროელევატორით)	2,2
2048	ბიოფილტრები და აეროფილტრები	5,0
2049	ლამიანი მოედნები	8,9
2050	საკანალიზაციო გამშვებები	3,7
2051	რკინაბეტონის ჰაეროტენკები	2,0
2052	არტეზიული ჭაბურღილები	7,8
2053	წყალგაყვანილობის გამწმენდი კომპლექსური ნაგებობანი (საკეტი და გამხსნელი ავზები, შესარევები, რეაქციის კამერები, სალექარები, ფილტრები) წყალსარბილებლები	2,0
2054	ნაგებობები წყლის აერაციისათვის	7,4
2055	საკანალიზაციო მტუმბავი ღრმა სადგურები, რომლებიც შეერთებულია მიმღებ რეზერვუარებთან	2,0
2056	ქვიშის მომპოვებლები (ჰიდროელევატორით)	4,3
2057	სალექარები (პირველადი და მეორადი)	4,3
2058	საორთქლებელი კოშკურების შხეფსაცივრები-საცივრები	3,4
2059	საკვამლე მილები	3,0
2060	სუფთა წყლის რეზერვუარები	2,9
2061	წყალსაწნევი კოშკები	4,9
2062	ბითუმსაცავები რკინაბეტონის და ლითონის რეზერვუარებით და ვერტიკალური ლამაუზები	2,5
2063	ავტოგასამართი სადგურები (შენობების და ნაგებობების ჩათვლით)	5,0
2064	ნავთობპროდუქტების შესანახი რეზერვუარები	3,5
2065	მიწისზედა და მიწისქვეშა ტევადობები თხევადი გაზისათვის	3,7
2066	მიწისქვეშა ტევადობები მძიმე ნარჩენების ჩასასხმელად	4,6
2067	მიწისქვეშა ლითონის ტევადობები თხევადი გაზების შესანახად	2,2
2068	წყალგაყვანილობის ფოლადის დუკერები	4,0
2069	შედურები და ფარდულები მხეცებისა და პირუტყვის შესანახად	8,5
2070	შპალერები რკინაბეტონის, ლითონის დგარებზე და მუხის და სხვა მაგარი ჯიშის პალოებზე	5,0
2071	ღობეები (შემონაღობები)	3,8
2072	მუდმივი თოვლსაცავი ღობეები	3,3
2073	ზამთრის სათბურები ერთმალიანი,მომინული შეღებილი ფოლადის კონსტრუქციის კარკასით	3,2
2074	ზამთრის სათბურები მრავალმალიანი, მომინული ფოლადის მოთუთიებული კონსტრუქციის კარკასით	1,5
2075	საზაფხულო სათბურები კორიზიული მდგრადი მასალების კარკასი	1,5
2076	კვალსათბურები	8,0
2077	მწვანე თეატრები, ესტრადები, მუსიკალური ნიჟარები, საცეკვაო მოედნები, სამკითხველოები, პავილიონები	6,6
2078	ყველა სახის ატრაქციონები	10,0
2079	ვაზები, ქანდაკებები, დეკორატიული ლარნაკები	10,0
2080	შადრევნები, აუზები	2,5
2081	მოედნები, ბილიკები, კოლონადები, სტენდები, კიბეები, ვიტრინები, ვოლიერები, გალიები, პანოები, სურათები და სხვა	5,0
2082	სათხილამურე ტრამპლინები	4,5
2083	ნახევრად დახურული სასროლეთი ტირები და სასროლეთი სტენდები და საფარი	2,5
2084	მოედნის ტრიბუნები	5,0
03 გადამცემი მოწყობილობები		
	ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის მოწყობილობები	
3000	ელექტროგადაცემის საჰაერო ხაზები 0,4-დან 20 კვტ. ძაბვით	3,4

3001	კავშირგაბმულობის საკაბელო ხაზები ლითონის კარკასით	2,3
3002	ბურჯებზე დაკიდებული და შენობების კედლებში გაყვანილი კავშირგაბმულობის საკაბელო ხაზები	5,7
3003	კავშირგაბმულობის საკაბელო ხაზები პლასტმასის გარსით	5,3
3004	გაზსადენი მილები	2,0
3005	საკანალიზაციო ქსელი (კოლექტორები და ქუჩის ქსელები ჭებით და არმატურით)	3,9
3006	წყალსადენი ქსელები	3,3
3007	ლამსადენები	3,4
3008	ცემენტის მილები	12,5
3009	მაღალი ძაბვის კაბელი (მიწის ქვეშ)	8,0
04 მანქანები და მოწყობილობები		
	ძალური მანქანები და მოწყობილობები	
4000	თბოტექნიკური მოწყობილობები	3,7
	სატურბინო მოწყობილობები	
4001	ყველა ტიპის ჰიდროაგრეგატები, დამხმარე და მაკომპლექტებელი მოწყობილობები	2,0
4002	ენერგეტიკული გაზტურბინების მოწყობილობები 12–100 ათ. კვტ-მდე	4,0
4003	მცირე სიმძლავრის (300 კვტ-მდე) ორთქლისა და ჰაერის სასწავლო-ექსპერიმენტული ტურბინები	10,0
	ელექტროძრავები და დიზელგენერატორები	
4004	ელექტროძრავები	14,0
4005	ჩქარი ბრუნვის დიზელ-გენერატორები	5,0
4006	კომპლექსური დანადგარები	6,0
	შიგაწვის ძრავები, ჩქარი ბრუნვის ძრავები	
4007	500 ბრუნვამდე წუთში	10,0
4008	500-1000 ბრუნვამდე წუთში	14,2
4009	1000-ზე მეტი ბრუნვით წუთში	33,3
4010	ტრაქტორები	13,6
	სხვადასხვა ძალური მოწყობილობები	
4011	რეაქტორები ორთქლგენერატორებით, ძალური ტრანსფორმატორები	3,3
	აკუმულატორები	
4012	სტაციონარული მჟავეების	6,0
4013	სტაციონარული ტუტეების	12,5
4014	გადასატანი მჟავეების	33,3
4015	დოზიმეტრული კონტროლის მოწყობილობები	6,6
4016	ხელისა და მაგნიტური ამამუშავებლები, ფიდერის ავტომატები, სითხური რეოსტატები, გამშვები აგრეგატები, განათების ტრანსფორმატორები	22,2
4017	გადასატანი ქვესადგურები, მაღალი ძაბვის გამანაწილებელი ყუთები, გარდამქნელი ქვესადგურები, კონდესატორები, ყველა ტიპების გამმართველები; ტრანსფორმატორები და სატრანსფორმატორო ქვესადგურები	10,5
	მუშა მანქანები და მოწყობილობები	
4018	ლითონსაჭრელი დაზგები	4,9
4019	ტექნოლოგიური მოწყობილობები სამსხმელო წარმოებისათვის	9,6
4020	სასწავლო-ექპერიმენტალური ღუმელები და გასახურებელი დანადგარები	10,0

4021	სამჭედლო-დამწნეხი მანქანები და მოწყობილობა	4,5
4022	კომპრესორული მანქანები და მოწყობილობა	7,5
4023	ტუმბოები	18,5
4024	აირსაწმენდი და სავენტილიაციო მანქანები და მოწყობილობები	13,8
4025	კოშკურა ამწეები	7,8
4026	ამწეები პნევმობორბლური და მუხლუხა სვლით	8,6
4027	ღვედიანი კონვეიერები (ტრანსპორტიორები)	15,4
4028	სახვეტი კონვეიერები	22,2
4029	ავტომტვირთავები, ელექტრომტვირთავები და ავტოჰიდროამწე მანქანები	16,0
4030	ავტოკოშკურები	13,0
4031	ყინულეკიპირებული მანქანები	16,0
4032	მექანიკური მტვირთავები	10,0
4033	ამწე მანქანები (სამშენებლო და სატვირთო-სამგზავრო)	17,9
4034	ჯალამბარები	7,4
4035	მექანიკური და ელექტრო გრეიფერები	12,5
4036	ესკალატორები	2,0
4037	სამგზავრო ლიფტები	10,0
	მიწისა და საკარიერო სამუშაოების მანქანები და მოწყობილობები	
4038	ერთჩამჩიანი ექსკავატორები მუხლუხა სვლაზე	11.3
4039	ერთჩამჩიანი ექსკავატორები პნევმობორბლურ სვლაზე	10,8
4040	თხრილისა და არხების გასაწმენდი მრავალჩამჩიანი ექსკავატორები	12,0
4041	ავტოგრეიდერები	10,8
4042	მისაბმელი გრეიდერები	13,0
4043	სატკეპნი მანქანები	11,0
4044	ბულდოზერები	13,0
	ბეტონისა და ცალკეულ სამუშაოთა მანქანები და მოწყობილობები	
4045	ავტობეტონშემზელები	14,0
4046	ბეტონსარევები და მოძრავი ხსნარშემრევები	11,0
4047	ბეტონტუმბოები	15,0
4048	ბეტონისა და დუღაბშემრევი მოძრავი მექანიზირებული დანადგარები, დანადგარები ბეტონის ქვების და რკინაბეტონის მილების დასამზადებლად, საარმატურო და სანიტარიულ-ტექნიკური სამუშაოების შესასრულებლად, ცემენტქვემეხები და ბეტონის ვაკუუმირებისათვის საჭირო მოწყობილობები	12,0
4049	ელექტრონული თვითამწე საკიდლები	20,0
4050	მოზაიკურსახერხი, პარკეტსარანდი და პარკეტსახერხი მანქანები და საღებავი ხელსაწყოები	20,0
	საგზაო-სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების მანქანები და მოწყობილობები	
4051	ავტოგუდრონატორები და ასფალტშემრევები	13,7
4052	ასფალტდამგებები, სექციონური სამკვრივებლები	12,0
4053	ბითუმსადნობი აგრეგატები და ბითუმის ქვაბები	32,0
	ბითუმსადნობი დანადგარები	
4054	ცეცხლით გათბობით	20,0
4055	ელექტრონული გათბობით	6,6
4056	თვითმავალი სატკეპნები	16,0
4057	მანქანის კომპლექტები გზებისა და აეროდრომების ბეტონსაფარის დასაგებად, გრუნტის დასაფხვნელი და შესარევი მანქანები, ღორღისა და ხრეშის გამანაწილებლები, გზის შესაკეთებლები	16,0
4058	სახიმინჯე სამუშაოთა მანქანები და მოწყობილობები	17,3
4059	წყალქვეშა-ტექნიკურ სამუშაოთა მანქანები და მოწყობილობები	11,0
4060	ელექტრო გაზშემდუღებელი და საჭრელი მანქანები და მოწყობილობები	17,7

გეოლოგიურ-საძიებო მოწყობილობები		
4061	საძიებო ბურღვის მოწყობილობები, აგრეთვე საბურღი მოწყობილობები კარიერებში; გეოფიზიკური მოწყობილობები და ხელსაწყოები; მოწყობილობები ენერგეტიკულის ჩათვლით და ხელსაწყოები, რომლებიც გამოიყენება სამთო-საძიებო და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების დროს	20,0
4062	მიწისქვეშა და ღია სამთო სამუშაოთა მანქანები და მოწყობილობები	21,2
4063	ფოლადის ტევადობები სითხეების და ფხვიერი ნივთიერებების შესანახად	7,7
4064	სტაციონარული ტევადობები (ტანკები, ბაკები, როფები და სხვა)	5,2
იშვიათი ლითონების და ნახევრადგამტარების თვისებების გამოსაკვლევი მოწყობილობები		
4065	ორგმინის ექსტრაქტორები და იონშემცვლელი წერტები, ფოლადის ექსტრაქტორები, რექტიფიკაციის სვეტები, ფოლადის უჟანგავი რეაქტორები, აპარატები თუთიის ხსნარისათვის	9,7
4066	მომინანქრებული რეაქტორები, მომინანქრებული ფოლადი, თუჯის მომინანქრებული ამწყობები	25,0
4067	მოწყობილობები სუფთა და განსაკუთრებით სუფთა კვარცის და საკვარცო ნაკეთობათა წარმოებისათვის, სახეხი და საპრიალებელი დაზგები ნახევარგამტარების თვისებათა გამოსაკვლევად	10,0
4068	ნახევრადგამტარების საჭრელი დაზგები	10,0
ქიმიურ გამოკვლევებში გამოყენებული მანქანები და მოწყობილობები		
4069	ზარფუხის აპარატები და პლასტმასის საწარმოებელი აპარატები შემრევებით	6,5
4070	მერსერიზაციული წნეხები ტუმბოებით, ფისით შესამოსი აპარატები, ამომწოვი აპარატები და დამჭიმი საგლინავები ხელოვნური ბოჭკოების საწარმოებლად; ღუმელები კუბური ნარჩენების გასათხევადებლად ორგსინთეზის წარმოებაში	6,6
4071	ფისის და პოლიმერების დაფური გასაშრობები სინთეზური ბოჭკოების წარმოებაში; კონდიცირების კამერები და გასაშრობები; შესარევები, გამხსნელები, ფილტრწნეხები	6,4
4072	აპარატები ამზელი მოწყობილობებით და ფოლადის ასარევები, პოლიმერული მასალების აპარატურა ქიმიური რეაქტივების საწარმოებლად	8,0
4073	წნეხები პლასტმასისათვის	8,3
4074	სატაბლეტო მანქანები, თერმოპლასტოავტომატები, შემრევები წნეხ-ფხვნილების წარმოებაში	10,0
4075	ცენტრიფუგები და ცენტრიდანული აპარატები, სადნობები, ავტოკლავები და უწყვეტი პოლიმერიზაციის აპარატები	6,7
4076	ჰაერგამყოფი ბლოკები	5,0
4077	საშრობები პლასტმასისა და ქიმიური რეაქტივების წარმოებაში	7,4
4078	ნუტჩ-ფილტრები, ვიბრაციული მანქანები საღებავების, შემღებავი და ნახევარპროდუქტების საწარმოებლად	6,7
4079	ჟანგბადის წარმოებაში გამოყენებული ჰაერის გამშრობი ბლოკები	3,0
4080	ლაქ-საღებავების, ქიმიური ბოჭკოების, ქიმრეაქტივების და სხვა ქიმიური ელემენტების საწარმოებლად გამოყენებული ცენტროფუგები და ცენტრიდანული სეპარატორები	11,5
4081	სარეცხი მანქანები ქიმიური წარმოების ტექნიკური ქსოვილების გასარეცხად	9,6
4082	ფილტრები სოდისა და კაუსტიკის წარმოებაში, ვაკუუმ-ფილტრები კალცისა და სოდის ჰიპოქლორიდის წარმოებაში; ნატრიუმკატიონიტის ფილტრები, ფილტრები ფოსფორიანი მარილებისა და ფოსფოროვანი მჟავეების წარმოებაში; ციკლო-ფილტრები ვიბრატორებით ფოსფორიანი მარილების წარმოებაში	10,4
4083	არასტანდარტიზირებული სპეციალური ქიმიური მოწყობილობები (წნევით მომუშავე ტევადობითი აპარატურები, სითბოშეცვლითი აპარატურები, დოზირებული მოწყობილობა)	7,0
ელექტრონული მოწყობილობები		
4084	ფიზიკურ-თერმული მოწყობილობები მიკროელექტრონული და ნახევარგამტარი ხელსაწყოების ნაკეთობათა წარმოებისათვის; ერთი და ორზონიანი დიფუზიური ღუმელები	25,0
4085	მოწყობილობები ელექტრონული ტექნიკის მექანიკური და კლიმატური გამოცდისათვის	25,0
4086	მოწყობილობები ნახევრადგამტარი მასალების ელექტრო-ფიზიკური პარამეტრების გასაზომად	25,0

4087	მოწყობილობები ნახევრადგამტარი მასალების მექანიკური დამუშავებისათვის: საჭრელები, სახეხები, საგლუვებლები	20,6
4088	ვაკუმური ტექნოლოგიური მოწყობილობა თხელი ფირფიტების მისაყენებლად: ვაკუუმური მტვერი; ელექტრო-იონურ-სხივური მოწყობილობები	20,0
4089	ფოტოთარგების საწარმოებელი მოწყობილობები	20,0
4090	მაღალთერმული მოწყობილობები გამოწვის, ჩრჩილვისა და შეცხობისათვის	20,0
4091	მოწყობილობები ტექნოლოგიური გარემოს გასუფთავებისა და კონტროლისათვის	20,0
4092	საამწყობო მოწყობილობები ნახევარგამტარი და ელექტრო ვაკუმური ხელსაწყოების, ინტეგრალური სქემების წარმოებისათვის: კონდესატორების ამწყობი ავტომატები; მოწყობილობები მიკროსქემების გამოყვანილობის მისადუღებლად, ულტრა-ბგერებით შესადუღებლად, ცივი და საკონტაქტო შედუღებისათვის; ელექტრონული და გაზის შეუდუღებელი აპარატურა	20,0
4093	ტექნოქიმიური მოწყობილობები დეტალების ცხელი და ცივი ამოტვიფვრის, ცხიმის მოცილების, გაწმენდისა და გარეცხვისათვის	14,3
4094	მინის დასამზადებელი და მინის დამამუშავებელი მოწყობილობები: გაჭრისათვის, გახეხვისა და ყალიბებისათვის	14,3
4095	ვაკუმური ტუმბოები, მაგნიტურგანმმუხტველი, ელექტროგანმმუხტველი ზევაკუმური; უზეთო ამოქაჩვისა და ცეოლიტური აგრეგატები	14,3
4096	მაღალსიხშირიანი და ულტრაბგერითი გენერატორები	12,5
პოლიგრაფიული მანქანები და მოწყობილობები		
4097	ასოთამწყობი და შრიფტსასხმელი მოწყობილობები	6,0
4098	მოწყობილობები ოფსეტური და ღრმა ბეჭდვის კლიშეებისა და ოფსეტური ყალიბების დასამზადებლად; სტერეოტიპული მოწყობილობა	7,7
4099	ტიგელის, ბრტყელსაბეჭდი და ქაღალდის საჭრელი მანქანები; სამკინძაო-საბროშურო ხაზები, ავტომატები და ნახევრად ავტომატები	5,0
4100	საფურცლე და საგრაგნილო როტაციული მანქანები მაღალი, ოფსეტური და ღრმა ბეჭდვისათვის; ნარიმანდული და ძაფსაკერავი მანქანები	6,3
4101	სხვა პოლიგრაფიული მოწყობილობები არა ავტომატური ციკლით (საკორექტორო და ბეჭდვისათვის; შემმოწმებელი დაზგები, ხაზსაჭრელები, მავთულსაქსოვი მანქანები და ა.შ.)	5,6
4102	ბამბეულის წარმოების მანქანები და მოწყობილობები	4,8
4103	შალის წარმოების მანქანები და მოწყობილობები	4,8
4104	აბრეშუმის წარმოების მანქანები და მოწყობილობები	5,2
4105	სელის წარმოების მანქანები და მოწყობილობები	5,0
4106	სატრიკოტაჟო წარმოების მანქანები და მოწყობილობები	7,8
4107	საქსოვი წარმოების მანქანები	8,3
4108	საფეიქრო-საგალანტერიო წარმოების მოწყობილობები	5,5
4109	ფეხსაცმლისა და ტყავსაგალანტერიო წარმოების მანქანები და მოწყობილობები	7,0
4110	მსუბუქი მრეწველობის სხვა წარმოების მანქანები და მოწყობილობები	6,3
4111	ხორცისა და რძის წარმოების მოწყობილობები	12,2
4112	საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირგაბმულობის საწარმოო მოწყობილობა	5,8
4113	ქალაქისა და სოფლის სატელეფონო კავშირგაბმულობის საწარმოო მოწყობილობები	5,4
4114	სატელეგრაფო კავშირგაბმულობის საწარმოო მოწყობილობა	4,9
4115	რადიოკავშირგაბმულობის, რადიომაუწყებლობის, სატელევიზიო და რადიოფიკაციის საწარმოო მოწყობილობები	8,0
ტელევიზიის, რადიომაუწყებლობისა და ტელერადიო სასტუდიო კომპლექსების გადამცემი სადგურების საწარმოო მოწყობილობები		
4116	ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სააპარატო-სასტუდიო კომპლექსის მოწყობილობა	9,2
4117	სასტუდიო მიკროფონები, სატელევიზიო მიმღებები, ვიდეო-საკონტროლო მოწყობილობა	12,5
4118	ყველა ტალღის რადიომიმღებები და საყოფაცხოვრებო ტელევიზორები	10,0
4119	სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მოწყობილობები	15,0

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მოწყობილობები		
4120	სამაცივრო მოწყობილობები	8,4
4121	გამათბობელი მოწყობილობები	10,0
4122	უწყვეტი მოქმედების სადუღარები	20,0
4123	მექანიკური მოწყობილობა, ავტომატები, ნახევრად-ავტომატები და სხვა სავაჭრო მოწყობილობები	12,5
კინოტექნოლოგიური და ფოტომოწყობილობები		
4124	კინოგადამღები მოწყობილობა	10,1
4125	ხმის ჩამწერი მოწყობილობა	11,0
4126	ელექტროგასანათებელი და მარეგულირებელი მოწყობილობა	8,0
4127	სამონტაჟო მოწყობილობა	10,0
4128	ფირების დამუშავებისა და ფილმების საბეჭდი მოწყობილობები	8,4
4129	კინოსაპროექციო მოწყობილობა	6,6
4130	ფოტომოწყობილობა	7,0
სამედიცინო მრეწველობის მანქანები და მოწყობილობები		
4131	მანქანები და მოწყობილობები ინექციური ხსნარების ამპულირებისათვის, თხევადი მედიკამენტების ჩამოსასხმელად და თავის დასაცობად, სასტერილიზაციო და სადეზინფექციო მოწყობილობები	14,2
4132	დრაჟეებისა და ტაბლეტების დასამზადებელი, გალაქვისა და ტაბლეტშენარევების მოწყობილობა; ტაბლეტების, დრაჟის და მაგარი ჟელატინის კაპსულების დაფასოებისა და შესაფუთი მოწყობილობა; კონვალიუტებზე რეკვიზიტების დასასმელი და ფლაკონებსა და ამპულებზე ეტიკეტების დასაბეჭდი მოწყობილობა	14,2
4133	ქიმიურ-ფარმაცევტული, ფოტოქიმიური და სავიტამინო წარმოების მოწყობილობები და აპარატები	16,6
4134	სათვალე ოპტიკის წარმოების მანქანები და მოწყობილობები	10,0
4135	ამპულების, პენიცილინის და ინსულინის ფლაკონების დასამზადებელი მოწყობილობები; ტაბლეტების დასამზადებელი წნეხები; სტომატოლოგიური ხელსაწყოების და ინექციური ნემსების დასამზადებელი მოწყობილობები	11,0
4136	ლეიკოსალბუნებისა და შესახვევ საშუალებათა დასამზადებელი და შესახვევი მოწყობილობა; მოწყობილობა ჟელატინის კაფსულების, ლინიმენტების და გლობულების დასამზადებლად	14,2
სხვა სახის სპეციალიზირებული სამუშაო მანქანები და მოწყობილობები		
4137	თვითმფრინავების ტექნოლოგიური მომსახურების სპეციალიზებული მოწყობილობები	9,8
4138	თვითმფრინავების სათბობით და ზეთით მომარაგების მანქანები და მოწყობილობები	8,8
საკონტროლო-საზომი და საცდელი აპარატურა კავშირგაბმულობის, სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების:		
4139	სტაციონალური	6,7
4140	გადასატანი	12,5
4141	სადისპეტჩერო ცენტრალიზაციის მოწყობილობები	4,0
4142	საცდელი სადგურების მოწყობილობები	12,5
4143	საზომი ლაბორატორიები	8,4
4144	კავშირგაბმულობის სპეციალური სახეების და ავტომატიზაციის სხვა საშუალებათა მართვის სადისპეჩერო აპარატურა	22,2
4145	ტემპერატურის და სიჩქარეთა განმსაზღვრელი ხელსაწყოები ქიმიურ წარმოებაში	9,8
4146	ასტრონომიული, გეოდეზიური ფოტოგრამმეტრიული და სტერეოტოპოგრაფიული ხელსაწყოები და მოწყობილობები (პასაჟის ხელსაწყოები, ასტრონომიული უნივერსალები, მაღალსიზუსტის თეოდოლიტები, სატრიანგულაციო გამომცდელები, ქრონომეტრები, კოორდინატოგრაფები, ფოტორედუქტორები, ფოტოტრანსფორმატორები, სტერეოპროექტორები, სტერეოგრაფები, სტერეოკომპარატორები)	12,5
4147	სხვადასხვა აეროფოტოგრამმეტრიული და ფოტოგრაფ-გეოდეზიური ხელსაწყოები და მოწყობილობები, რომლებიც განიცდიან ინტენსიურ ექსპლოატაციას და გამოიყენებიან არახელსაყრელ გარემო პირობებში	16,7

4148	ტექნოლოგიური პროცესების საკონტროლო და მარეგულირებელი ხელსაწყოები (ტემპერატურის ხელსაწყოების გარდა)	13,0
	ელექტროსაზომი და რადიოსაზომი ხელსაწყოები	
4149	დაფური ელექტროსაზომი ხელსაწყოები (ამპერმეტრები, ვოლტმეტრები მილიამპერმეტრები, ვატმეტრები, სიხშირმზომი, დენის ინდიკატორები და სხვა). ციფრული ელექტრო საზომი ხელსაწყოები; გადასატანი ელექტროსაზომი ხელსაწყოები; წინაღობათა საზომი კოჭები, პოტენციომეტრები, ძაბვის გამყოფები, ლაბორატორიული დენის ტრანსფომატორები; ელექტრო ტახომეტრები, ბრუნვათა აღმრიცხველები; მარეგისტრირებელი მოწყობილობა; ელექტრული საშემსრულებლო მექანიზმები; სიმძლავრეთა საზომი ხელსაწყოები (მცირე და დიდი სიმძლავრეების საზომები და სხვა); სიხშირეთა საზომი ხელსაწყოები (საყრდენ სიხშირეთა კვარცული გენერატორები; რხევათა და სიხშირეთა საზომები, სიხშირეთა სინქრონიზატორები და სხვ.) ხელსაწყოები სიგნალებისა და სპექტრების ფორმებზე დაკვირვები-სათვის; (სხვადასხვა ოსცილოგრაფები, სინქრონოსკოპები, ვერტიკალურ გადახრათა გამაძლიერებლები, სპექტრების ანალიზატორები და სხვ.); მასალათა ელექტრული და მაგნიტური თვისებების საზომი ხელსაწყოები (მასალების ელექტრულ სიმკვრივეთა საზომები, მაგნიტური ინდუქციის საზომები და სხვა); საზომი გამაძლიერებლები (შორისული სიხშირის გამაძლიერებლები, ფართეზოლიანი გამაძლიერებლები, ბგერითი სიხშირის გამაძლიერებლები და სხვ.), რადიომოწყობილობათა თვისებებზე დაკვირვებისა და გამოკვლევის ხელსაწყოები (ამპლიტუდური სიხშირის თვისებების საზომები, ხმის კოეფიციენტის საზომები და სხვა); იმპულსების ანალიზატორები; კვების წყაროები (მუდმივი დენის ძაბვის წყაროები, ძაბვის სტაბილიზატორები, კვების უნივერსალური წყაროები, სტაბილიზირებული გამმართველები და სხვა); ტენზომეტრიული დანადგარები; საზომი გენერატორები (ხმის გენერატორები, სასიგნალო გენერატორები და სხვა); ველის ძაბვისა და რადიო- დაბრკოლებათა საზომი ხელსაწყოები; ელექტრული ნათურებისნახევრადგამტარი ხელსაწყოების პარამეტრების საზომი ხელსაწყოები; სხვა ელექტროსაზომი და რადიოსაზომი ხელსაწყოები.	10,0
	ოპტიკურ-მექანიკური და სიგრძივ-კუთხური საზომების ხელსაწყოები	
4150	მიკროსკოპები (ბიოლოგიური, სტერეოსკოპული, მეტალოგრაფიული და სხვა); სინათლის მიკროსკოპების მოწყობილობა და კუთვნილებანი (სხვადასხვა გასანათებლები, მიკროფოტოდასაგებები, ინტერფერენციული მოწყობილობები და სხვა); სპექტრული ხელსაწყოების კვანძები და ელემენტები; დეფექტოსკოპიური ხელსაწყოები და აპარატურა; ეპიდიასკოპები, დიაპროექტორები, ზედაპირული ხორკლიანობის საკონტროლო ხელსაწყოები; სპექტროსკოპები და სპექტროგრაფები; სათვალთვალო ხელსაწყოები (გასაცქერი მხედველობითი მილები, გამადიდებელი შუშები); სარენტგენო აპარატურა და სპეციალური დანადგარები; სხვა ოპტიკურ-მექანიკური ხელსაწყოები	8,3
	თბოენერგეტიკული ხელსაწყოები	
4151	ელექტრული პოტენციომეტრი და გამათანაბრებელი ხიდები, ავტომატური პოტენციომეტრები და სხვა; ტემპერატურის მარეგულირებლები; ფარისებრი და გადასატანი მილივოლტმეტრები; ფსიკომეტრები (ელექტრული და მექანიკური); ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზის ხელსაწყოები (გაზანალიზატორები, სპირტსაზომები და სხვა); მემბრანული დიფერენციული მანომეტრები; დიფმანომეტრები; ზუსტი გაზომვის სანიმუშო და ტექნიკური მანომეტრები, ვაკუუმმეტრები და მანოვაკუუმეტრები; თვითმწერი მანომეტრები, დგუშიანი მანომეტრები; ვერცხლისწყლის ბარომეტრები; პირომეტრები; მანომეტრული და ელექტრო კონტაქტის თერმომეტრები და სხვა; სხვადასხვა წინააღმდეგობათა თერმომეტრები; სხვადასხვა თერმოწყვილები; წნევის რელეები, თერმორელე, დროის რელე და სხვა; ვიბრაციის საზომი ხელსაწყოები; თერმოსტატები; სხვა თბოენერგეტიკული ხელსაწყოები	10,0
	მექანიკურ სიდიდეთა საზომი ხელსაწყოები	
4152	ლითონების ღუნვის, ცვეთის, ბრუნვის, ცოცვის, გამძლეობის, დაჭიმულობის, კუმშვის, ხახუნის, დაღლილობის და სხვათა გამოსაცდელი ხელსაწყოები და მანქანები; მასალების მექანიკური	10,0

	გამოცდის მანქანები და ხელსაწყოები (ტენზომეტრიული ხელსაწყოები, დინამომეტრები, დრეკადობის საზომები და სხვა); მაგნიტური და რადიოლოგიური რხევის საკონტროლო ხელსაწყოები, ინტროსკოპიის ხელსაწყოები, უხილავი გამოსხივების გარდამქმნელები და სხვა; ვიბრაციული პროცესების ძირითადი პარამეტრების განმსაზღვრელი ხელსაწყოები და აპარატურა (ვიბრომეტრები, ვიბროცეცები, ვიბროგრაფები და სხვა); მრიცხველები (ბრუნვის, დროის და სხვა); სიჩქარის საზომები, ტაქომეტრები, სტრობოტაქომეტრები და სხვა; ტექნიკური და სპეციალური დანიშნულების საათები, ქრონომეტრები, ქრონოსკოპები და სხვა; საათების მოძრაობის შესამოწმებელი ხელსაწყოები და სხვა; მექანიკურ სიდიდეთა საზომი სხვა ხელსაწყოები და მანქანები	
	ფიზიკური კვლევის ხელსაწყოები და აპარატურა	
4153	ატმოსფეროს პარამეტრების საზომი და სარეგისტრაციო ხელსაწყოები: ფიზიკური, ქიმიური, ოპტიკური და რადიოაქტიური, ფიზიკური პარამეტრებისა და ნიადაგისა, თოვლისა და მცენარეთა საფარის და სხვა. მდინარეებში, ტბებში, ზღვებსა და ოკეანეებში დინამიკური, ფიზიკური, ქიმიური, ოპტიკური, რადიოაქტიური და ბიოლოგიური პარამეტრების საზომი ხელსაწყოები და სხვა. კომპლექსური ჰიდროლოგიური და მეტროლოგიური პარამეტრების საზომი და სარეგისტრაციო ხელსაწყოები (ანემომეტრები, ბარომეტრები, დისტანციური მეტეოსადგურები და სხვა); სეისმოდასაზვერი აპარატურა და ხელსაწყოები, სეისმური გენერატორები, გრავიმეტრები, ინდიკატორები და გამომცდელები სხვადასხვა დანიშნულებისა და სხვა; ნიადაგის საკვლევი ხელსაწყოები, გეოდეზური სტერეომეტრები, თერმოგრადიენტული ხელსაწყოები, ფლუორიმეტრები და სხვა; ჰიდროაკუსტიკური საზომი დანადგარები; საზომი მიკროფონები; ფიზიკური კვლევის სხვა ხელსაწყოები და აპარატურა	10,0
	იონიზირებული გამოსხივების საზომი და რადიოიზოტოპიური ხელსაწყოები	
4154	დოზების დახასიათების საზომი ხელსაწყოები (დოზიმეტრები, რენდგენომეტრები, სიგნალიზატორები, ავტომატური სასიგნალო მოწყობილობები და სხვა); რადიომეტრები, ემანომეტრები და სხვა; იონიზირებულ გამოსხივებათა სპექტომეტრები, იმპულსების, ანალიზატორები, იონიზაციური კამერები, გადამთვლელი მოწყობილობა და სხვა; იონიზირებული გამოსხივების საზომი და რადიოიზოტოპიური სხვა ხელსაწყოები	14,3
	სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი სხვა საზომი და მარეგულირებელი ხელსაწყოები, დანადგარები და ტექნიკური საშუალებანი	
4155	სხვადასხვა დანიშნულების დაფები (ვიბრაციული, მექანიკური, ჰიდრავლიკური, ელექტრული და სხვა) ძრავების, მოტორების, ტურბინების, დაზგების და სხვათა გამოსაცდელად; ჰიდრავლიკური, პნევმატური და ელექტრული მექანიზმები, ამძრავი მარეგულირებელი მოწყობილობები, მარეგულირებელი სარქველები და სხვა; მიწისზედა რადიონავიგაციული საშუალებები, აეროდრომების გასათებელი მოწყობილობები და სხვა; საკონტროლო-საკასო აპარატები, ეგზამენატორები, დიქტოფონები, ვიდეომაგნიტოფონები, ლექტოგრაფები, რაციები, კავშირგაბმულობის აპარატურა	10,0
4156	ტრენაჟერები, ექსკავატორისა და ამწე კოშკურების მოქმედი მოდელები	10,0
4157	სავარჯიშო დაფები, საგზაო მოძრაობის წესების შესწავლისათვის, კარადები, სპეციალური მაგიდები	10,0
4158	მინისაგან დამზადებული ლაბორატორილი მოწყობილობა	33,3
	სასწორები	
4159	ლაბორატორიული სასწორები	7,0
4160	პლატფორმიანი სასწორები	6,0
4161	სტაციონალური საავტომობილო სასწორები	5.9
4162	მოძრავი საავტომობილო სასწორები	11,1
4163	საკონტროლო-ასაწონი პლატფორმები და ვაგონები	2,6
	გამომთვლელი ტექნიკა	
4164	ელექტრონული, მმართავი და სხვა ანალოგიური მანქანები	10,0

4165	კომპიუტერები, სკანერები, პრინტერი, სერვერი, ასლგადამღები მანქანები, როუტერი	20,0
4166	კომპიუტერის კვების წყარო	12,5
4167	სვიჩი, პროექტორი, ქაღალდის გამანადგურებელი, რიგის მარეგულირებელი ტურნიკეტები, სახანძრო სიგნალიზაცია	10,0
	კომუნალური მეურნეობის მანქანები და მოწყობილობები	
4168	სამსხვრეველები, მექანიკური ფოცხები, ცხრილები	20,0
4169	ცენტრიფუგები, თეთრეულის სარეცხი და გასაწური კომბინირებული მანქანები	12,0
4170	ქლორატორები (ამონიზატორები)	50,0
4171	კვარცის და კათიონიტური ფილტრები	6,7
4172	რეაგენტების დოზატორები	33,4
4173	ბაქტერიოციდული დანადგარები	10,0
4174	მოსარწყავ-მოსარეცხი მანქანები, გუთანჯაგრისიანი თოვლსაწმენდები ტრაქტორებზე, როტორული თოვლსაწმენდები, ლამსასრუტი მანქანები	10,0
4175	ქვიშის მომბნევი, მოსაწმენდ-ასაღები მანქანები, თოვლმტვირთავები, ტროტუარგამწყობი (სპეცმოწყობილობები)	12,5
4176	ასენიზაციის მანქანები და მისაბმელი ასენიზაციის ცისტერნები, საძარე და საკონტეინერო ნაგავსაზიდები	10,0
4177	კონტეინერები; ლითონის შესაგროვებლები საყოფაცხოვრებო ნაგავისათვის	20,0
4178	თხევადი გაზის ბალონების საკარადე დანადგარები	9,8
4179	საყოფაცხოვრებო გაზის აპარატურა (ქურები, წყლის გამათბობლები გაზსანთებელი მოწყობილობა სათბობი ღუმელებისათვის) საყოფაცხოვრებო ელექტროქურები	6,1
4180	საყოფაცხოვრებო მტვერსასრუტები, წყლის გამაცხელებლები, კონდიციონერები	10,0
	სამედიცინო მოწყობილობები	
4181	უნივერსალური ავტომატები ქსოვილების ფისტოლოგიური დამუშავებისათვის, მაკროტომები, მიკროტომები, ანატომიური ურიკები	7,1
4182	ფიზიოგრაფიის ბლოკები, ვექტორელექტროკარდიოსკოპები, კაპილაროსკოპები, ოქსიგემოგრაფები, ოქსისპიროგრაფები, პნევმოტაქომეტრები, ცენტრალური ნერვიული სისტემე-ბის, შინაგანი ორგანოების გამოსაკვლევი მოწყობილობები, პულსოტაქომეტრები, სპიროგრაფები, ფიზიოგრაფები, ელექტროკარდიოგრაფები, ელექტროთერმომეტრები, ელექტროენცელოგრაფები	8,3
4183	სისხლის აპარატები – შემრევები კონსერვანტით, აპარატები სისხლის პირდაპირი გადასხმისათვის, მექანიკური უნემსო ინექტორები, დანადგარები პერიტონიალური დიალიზისათვის	9,1
	საერთო ქირურგიული დანიშნულების აპარატები და ხელსაწყოები	
4184	აპარატები საინგალაციო და გაზის ნარკოზისათვის, ხელოვნური სუნთქვის აპარატები, აპარა-ტები ხელოვნური სისხლის მიმოქცევისათვის, ორგანოს და სისხლძარღვების გადასაკერებელი და დასამოკლებელი აპარატები, საჭრელი და საკოაგულაციო აპარატები, აპარატები ანესთე-ზიისათვის, ბრონქოსკოპები, დერმატორები, საოპერაციო მიკროსკოპები, რესპირატორები, დეფიბ-რილატორები	9,1
	ნეიროქირურგიის აპარატები და ხელსაწყოები	
4185	ნეიროქირურგიული პერფორატორები, ზონების ობიექტური განსაზღვრის ხელსაწყო, ხელსაწყო სტერეოტაქსისათვის, დანადგარი ტვინის პარკუჭის დრენირებისათვის, თავის ქალის ელექტროსახვრეტელა	9,1
	ოფთალმოლოგიის აპარატები და ხელსაწყოები	
4186	თვალის საკვლევი აპარატები, დიათერმოკოაგულიატორები, დიოპტრიმეტრები, დიპლოსკო-პები, ჭვრიტული ლამპები, თვალის მაგნიტები, ოფტალმოსკოპები, პერიმეტრები, სინათლის კოაგულატორები, ოფთალმომეტრები	8,3
	ოტირინოლარინგოლოგიის აპარატები და ხელსაწყოები	

4187	აუდიომეტრები, ბრონქოსკოპები, ბრონქოეზოფაგოსკოპები, ხორხის ამომჭრელი, აეროზოლის ჟანგბადის ინჰალიატორები, ოტორინოლარინგოლოგიური დივანი, ლარინგოსკოპები, ოტორონო-ლარინგოსკოპები, რინოპნევმომეტრები	10,0
ურولოგიის აპარატები და ხელსაწყოები		
4188	აპარატები „ხელოვნური თირკმელი“, ურეთროცისტოსკოპები, ფიტოცისტოსკოპები, ქოლედოხოსკოპები, ცისტოლითოტროპტორები, ცისტოსკოპები	11,1
საბებიო და გინეკოლოგიური დანიშნულების აპარატები		
4189	აპარატები ორსულობის შეწყვეტისათვის, აპარატები ფალოპუისის მილში (საშვილოსნოში) ჩაბერვისათვის, ვაკუუმ-ექსპრაქტორი, სამშობიარო აპარატები, ვიბროგამფართოებლები, საშოს სარკეები, კოლპოსკოპები, გინეკოლოგიური დივნები, საწოლები მშობიარეთათვის, რძის გამომ-წოვებლები, საშვილისნოს ელექტროტონიზატორები, აპარატები გაუტკივრებული მშობიარო-ბისათვის	8,3
აპარატები და მოწყობილობები სტომატოლოგიისათვის		
4190	ყველა სისტემის ბურღ-მანქანები, კბილის საექიმო სავარძლები, კბილის ქვების მოსახსნელი აპარატები კბილის პროთეზების წერტილოვანი შედუღებისათვის, კბილის ტექნიკური ვალცები, ყველა სისტემის სტომატოლოგიური დანადგარები, სატურბინე ბუნიკები, სტომატოლოგიური გასანათებლები, კბილის საექიმო მოძრავი ამბულატორია, ყბების ფიქსატორები (გასამაგ-რებლები), პირის ღრუს გამოსარეცხი დანადგარები	7,1
აპარატები და ხელსაწყოები ტრავმატოლოგიისა და მექანოთერაპიისათვის		
4191	აპარატები სახსრებისა და ძველი ამოვარდნილობების ჩასასმელად, ფირფიტა-ფიქსატორები, აპარატები თაბაშირის კორსეტების დასაყენებლად, ძვლების გასაწევად, საწოლები ტრავმატო-ლოგიური სავადმყოფოებისათვის, წკირ-ფიქსატორები, დგარები აპარატებთან	10,0
ფიზიოთერაპიის აპარატები და ხელსაწყოები		
4192	აპარატები ინდუქტოთერმიის, ელექტროძილით მკურნალობის, მიკროტალღური თერაპიის, უვჩ თერაპიისა და დაბალი სიხშირის თერაპიისათვის, ნაწლავების წყალქვეშ გამოსარეცხად, ფრანკლინიზაციისა და აეროიონიზაციისათვის; თერაპიული ულტრაბგერითი აპარატები, წყალსამ-კურნალო კათედრები, მოკლე-ტალღური მასხივებლები, ელექტროკარდიოსტიმულატორები, ვერცხლისწყალ-კვარცული მასხივებლები, აპარატები დიათერმიისათვის, ელექტროსტიმულა-ტორები, ვერცხლისწყალკვარცის ნათურები	7,7
რენდგენოდიაგნოსტიკის, რენდგენოთერაპიისა და რადიოლოგიის აპარატები და ხელსაწყოები		
4193	ყველა სისტემის რენდგენული დიაგნოსტიკის, თერაპევტული და ფლუროგრაფიული აპარატები; მოძრავი რენდგენის სადგურები, ავზები რენდგენოგრამების დასამუშავებლად, ნეგა-ტოსკოპები, რენდგენოკიმოგრაფები, ტომოგრაფები, ელექტროკიმოგრაფები, სხვადასხვა დამცვე-ლი შირმები,რენდგენოგრამების გასაშრობი კარადები, გაზგანმუხტველი ბეტა-ზონდები, დოზი-მეტრები, რადიომეტრები, რენდგენომეტრები, ტყვიის მინები, დამცველი რადიო-სამანიპულაციო მაგიდები, ყველა სისტემის რადიოლოგიური დანადგარები	7,1
სამედიცინო ავეჯი და საოპერაციო მოწყობილობები		
4194	ეტლი-საწოლები, სავარძელ-ეტლები, ყველა სისტემის ფუნქციონალური საწოლები, საკა-ცეები, მასხივებლები, ყველა სისტემის საოპერაციო ლუმინესცენტური ლამპარები, საოპერაციო მაგიდები, სამკურნალო ტანვარჯიშის მაგიდები, შესახვევი მაგიდები ურიკები, ამწე მანქანები, დანადგარები მძიმე ავადმყოფთა სანიტარიული დამუშავებისათვის, სანიტარიული ჭურჭლის გასარეცხად და	6,7

	სტერილიზებისათვის	
	სასტერილიზაციო მოწყობილობები	
4195	ვერტიკალური, ჰორიზონტალური, ორთქლისა და საკარადო ავტოკლავები, სტერილიზატორები, საორთქლე ქვაბები, სტერილიზაციური დანადგარები	10,0
	ლაბორატორიული და სააფთიაქო მოწყობილობები	
4196	ანალიზატორები, ხსნარებისა და შრატების გასაფილტრი აპარატები გამომხდელები, მდოზავები, კალორიმეტრები, ლაბორატორიული ჭურჭლის სარეცხი მანქანები, სარეცეპტურო დამზადების სატრიალებლები, მაგნიტური ასარევები, მიკროფოტომეტრები, პოლარიმეტრები, რეფრაკტომეტრები, სპექტროგრაფები, სპექტროფოტომეტრები, ასისტენტური მაგიდები, თერმოსტატები, ფილტრები, ფოტომეტრები, ცენტრიფუგები, გასაშრობი კარადები, აპარატები ელექტროფორეზისათვის	7,7
	მოწყობილობები დეზინფექციისა და დეზინსექციისათვის	
4197	ყველა სისტემის სადეზინფექციო კამერები, მოძრავი ორთქლის ქვაბები, ბაქტერიციდული გამასხივებლები, სასხურები, ყველა სისტემის სადეზინფექციო დანადგარები, საშხაპე დანადგა-რები, ყველა სისტემის სადეზინფექციო კამერები	9,1
	სამედიცინო კომპლექტები	
4198	მედნაკეთობათა კომპლექტები, სამხედრო სამედიცინო კომპლექტები, სხვადასხვა ქირურგიული კომპლექტები	11,1
	სხვადასხვა ნაკეთობანი	
4199	ხელსაწყოები სამედიცინო იარაღების გასალესად, მოწყობილობები მიკროტომული დანების გასასწორებლად, დაზგა ქირურგიული ძაფების გადასახვევად, დასანამავები ელექტროგათბობით, ჰაერის გამწმენდი ფილტრები	10,0
	სისხლის სამსახურის მოწყობილობები	
4200	ღრმად გაყინვის მაგიდები, ყველა სისტემის ლიოფილიზებული დანადგარები, სადონორო სისხლის დამზადების დანადგარები, სუბლიმაციური დანადგარები, ცენტრიფუგები, ცვალებადი ტემპერატურის კარადები	10,0
	სასპორტო მოწყობილობა	
4201	მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, კრივის, ჭიდაობის, ძალოსნობის და სპორტის სხვა სახეობათა მოწყობილობები	8,0
4202	კრივის რინგი	15,0
4203	საჭიდაო ხალიჩა	25,0
4204	ძიუდოსა და აღმოსავლური ორთაბრძოლების ტატამები	15,0
4205	სპორტული ხალიჩები	6,5
4206	აკრობატიული საფენები, სატანვარჯიშო ჭილობი	20,0
4207	აკრობატული ბატუტი	25,0
4208	საკონტროლო-საზომი ხელსაწყოები	11,6
4209	იალქნიანი სპორტული ნავები	12,0
4210	ნიჩბიანი სპორტული ნავები	24,0
4211	სპორტული მანქანები	25,0
4212	სპორტული ველოსიპედები	33,0
4213	კალათბურთის ფარები, ბადეებიანი კარები, მაგიდის ჩოგბურთის მაგიდები, გადასაღობი ბადეები,	25,0

	ფრენბურთის ბადეები	
4214	ჩოგბურთის ჩოგანი	33,0
4215	სამსაჯო კოშკები და ჯიხურები, საპატიო კვარცხლბეკები, ტანვარჯიშული ფიცარნაგები, მსაჯებისა და მწვრთნელების მაგიდები	10,0
4216	ტაბლოები და სხვა საკონტროლო საზომი ხელსაწყოები	15,0
4217	სამედიცინო-ბიოლოგიური მოწყობილობები და აპარატურა, სამედიცინო კონტროლისათვის სპორტის სხვადასხვა სახეობებში	20,0
4218	სხვა სპორტული მოწყობილობები	15,0
კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სპეციალიზებული მოწყობილობები		
4219	სცენების, ესტრადების, არენების მექანიკური მოწყობილობები; ელექტრომარეგულირებელი აპარატურა მექანიკური და ელექტრონული მართვით	6,5
4220	ელექტროგასანათებელი მოწყობილობა	8,0
4221	ბუტაფორიები, დეკორაციები, რეკვიზიტები	14,0
4222	კოსტიუმები	12,5
მუსიკალური ინსტრუმენტები		
4223	პიანინოები, როიალები, არფები	5,0
4224	სასულე, დასარტყმელი, სიმებიანი და სხვა მუსიკალური ინსტრუმენტები	10,0
05 სატრანსპორტო საშუალებები		
საზღვაო ტრანსპორტი		
5000	უნივერსალური დანიშნულების მშრალტვირთიანი გემები	4,0
5001	წყალქვეშა ფრთიანი სამგზავრი კატერები	12,3
5002	სამოსამსახურო მიმოსვლის კატერები, სალოცმანო და საყვინთი ბოტები, მოტორიანი ნავები	6,5
საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობა		
5003	სატვირთო ავტომობილები 2 ტ-მდე ტვირთამწეობით	15,0
5004	სატვირთო ავტომობილები 2 ტ. მეტი ტვირთამწეობით	11,2
5005	ავტომობილი თვითმცლელები 25 ტ. და მეტი ტვირთამწეობით	15,0
5006	მისაბმელები და ნახევარმისაბმელები ყველა ტიპის	13,0
5007	მსუბუქი ავტომობილები მცირე კლასის (ძრავის მუშა მოცულობით 1,8 ლ-მდე.)	13,0
5008	მსუბუქი ავტომობილები საშუალო კლასის (ძრავის მუშა მოცულობით 1,8 ლ-ზე მეტი)	11,2
5009	ავტობუსები მცირე კლასის (სიგრძით 5 მ-მდე)	15,0
5010	ავტობუსები მცირე კლასის (სიგრძით 5 მ-ზე მეტი)	13,0
5011	ავტობუსები საშუალო, დიდი და განსაკუთრებით დიდი კლასის (სიგრძით 8მ-ზე მეტი)	11,2
5012	სპეციალური ავტომობილები (ვეტერინარული, სახანძრო, საავარიო, საოსტატო) და ა.შ.	9,0
5013	სანიტარიული ავტოტრანსპორტი	11,0
საწარმოო ტრანსპორტი		
5014	მოტომავლები, ავტოდრეზინები, დასატვირთ-გადმოსატვირთი მანქანები	4,8
5015	მოტოციკლები, მოტოროლები, მოპედები	20,0
5016	ველოსიპედები (გარდა სპორტულისა)	25,0
06 ხელსაწყოები		
საერთო დანიშნულების ხელსაწყოები		

6000	საბურღი და სამტვრევი ჩაქუჩები, პერფორატორები და სხვა მექანიკური, პნევმატური და ელექტროფიცირებული ხელსაწყოები	50,0
6001	საღებავი პულტები, პისტოლეტ-საფრქვეველები და ვიბრატორები	44,3
6002	სხვა ხელსაწყოები	20,0
ხელსაწყოები რკინიგზის მომსახურებისა და რემონტისათვის		
6003	ჰიდრავლიკური გამშლელი ხელსაწყოები, საზუსტავები, შურუფსატრიალებლები, ომბოხსასობები	24,7
6004	რელსაჭრელი, რელსსაბურღი და რელსახერხი გადასატანი ჩარხები; სხვა საგზაო ინსტრუმენტები	11,0
07 საწარმოო და სამეურნეო ინვენტარი და მოწყობილობები		
7000	ლითონის	4,8
7001	ხის	8,3
7002	ფოტორეპროდუქციული კამერები	12,5
7003	მაყურებელთა დარბაზის ავეჯი	6,0
7004	პარკების ავეჯი და ინვენტარი	10,0
7005	სასცენო ტანსაცმელი	8,0
7006	დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ავეჯი (გარდა ავეჯისა გარნიტურებში)	10,0
7007	დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ავეჯი გარნიტურებში, ხალიჩები, სარკეები	6,5
7008	ნოხის ბილიკები	20,0
7009	სურათები ჩარჩოებში	2,0
7010	ფანჯრებისა და კარების ფარდები	25,0
7011	ელექტროხელსაწყოები	8,3
7012	ბრინჯაოსა და მარმარილოს ქანდაკებები	1,0
7013	გერბი, დროშა, აბრა, საინფორმაციო დაფა, სამარკერო დაფა, კიბე	10.0
7014	ექსპედიციაში და სტაციონალურ ბანაკებში გამოყენებული კარვები	33,3
7015	ლითონის სეიფები და კარადები, ლითონის ჭიშკარი	1,1
7016	საბეჭდი მანქანები	8,0
7017	სტელაჟები, ჩამოსაკიდები, ლითონის ყუთები	5,0
7018	შაპიროგრაფები, დასანომრი ჰექტოგრაფები, სატვიფრი და მნიხრავი აპარატები	5,0
7019	სხვა საწარმოო და სამეურნეო ინვენტარი	8,0
08 მუშა პირუტყვი		
8000	ყველა სახის მუშა პირუტყვი	12,0
09 მრავალწლიანი ნარგავები		
9000	ტყის ნარგავები	2,0
9001	ჩაის პლანტაციები	2,0
9002	მანდარინის პლანტაციები	5,0
9003	ლიმონისა და ფორთოხლის პლანტაციები	10,0
9004	თესლოვანი და კურკოვანი ხილის ნარგავები	6,0
9005	ვენახი	3,0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №615-სსმIII, №117, 28.09.2009წ.; მუხ. 1340